# გილოცავთ დედისა და ქალთა დღეებს!



# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(307) 2024 წ. 1-15 მარტი ფასი 1 ლარი

## კახეთის მუნიციპალიტეტებს ახალი სამგზავრო ავტობუსები გადაეცა

**კახეთში** რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის ახალი სამგზავრო ავტობუსების გადაცემის ღონისძება გაიმართა.

ღონისძიებას კახეთის მხარეში ***სახელმწიფო რწმუნებული* გიორგი ალადაშვილი**, ***პარლამენტის წევრები*** - **ირაკლი ქადაგიშვილი, დავით სონღულაშვილი, გელა სამხარაული და დავით მათიკაშვილი** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რეგიონებისთვის ახალი ავტობუსების შეძენა განხორციელდა. პროექტის ფარგლებში „ისუზუს“ ფირმის 154 ერთეული, 8-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვა განხორციელდა, რომლებიც ქვეყნის 38 მუნიციპალიტეტში გადანაწილდა.



ახალი ავტობუსების შესყიდვისთვის ბიუჯეტიდან 53 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. ახალი სამგზავრო ავტობუსების საქართველოში ჩამოყვანა შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული, კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულმა კომპანია „ჯითი გრუპი“-მ უზრუნველყო.

პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონს 31 ერთეული ახალი სამგზავრო ავტობუსი გადაეცა, რომლებიც მუნიციპალიტეტებში გადანაწილდება. ***ავტობუსები მოქალაქეების შიდა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტირებას მოემსახურება.*** თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ავტობუსები 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ახალი, კომფორტული, ***EURO 5***-ი სტანდარტის ავტობუსების შეძენით, კახეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული შიდა სატრანსპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემა მოუგვარდება. ასევე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე დადებითად აისახება.

## ასე მიულოცეს ქალბატონებს 8 მარტი საგარეჯოში









# მუნიციპალური გვერდი

## საინფორმაციო შეხვედრა



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიაში ***მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა*** მოადგილეებთან, ***საქართველოს მელიორაციის ადგილობრივი სამსახურის ხელმძღვანელ - ზურა კობახიძესთან*** და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად სარწყავი სისტემის საექსპლუატაციო სამუშაოების დაგეგმვასთან დაკავშირებით, საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დეტალურად მოხდა სოფლების საჭიროებების გაცნობა, რაც ძირითადად სატუმბი სადგურების რეაბილიტაციას და სავარგულების გასარწყავიანებას ეხებოდა.

ავთანდილ გულიკაშვილმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრებისას გაჟღერებული პრიორიტეტების, პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ, რომელიც დეტალურად აღირიცხა - გადაჭრის გზებსა და ამოცანებზე სამსჯელოდ გეგმიური - სამუშაო შეხვედრა გამართა, რაც ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურისა და სოციალური საკითხების განხილვას შეეხო. თვითმმართველობის პირველმა პირმა თათბირისას თანამშრომლებს ***თულარის თემში*** მერის ახლადდანიშნული წარმომადგენელი **რაფაილ შარიფოვი** წარუდგინა და წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

## ინფრასტრუქტურა-2024

## ქუჩები



**ქ. საგარეჯოში**, ე.წ სათავის უბანში ბილანიშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია დაიწყო.

***მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა*** პირველ ***მოადგილესთან ემზარ კუჭუაშვილთან*** და ***ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან ბექა ფეიქრიშვილთან*** ერთად მიმდინარე პროცესი ადგილზე მოინახულა და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 435 099 ლარით ფინანსდება.

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინფრასტრუქტურული გარდამავალი პროექტების სამუშაოები განახლდა.

ქ. საგარეჯოში, ***რუსთაველის ქუჩის ზედა მონაკვეთის,*** ტროტუარების, სანიაღვრეებისა და მიმდებარე ჩიხების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.



## სიახლე

## სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისებისათვის

**მუნიციპალიტეტის *მერის* ავთანდილ გულიკაშვილის** გადაწყვეტილებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ***ალექსანდრე ცხვედაძის სახელობის ფულადი ჯილდო - სტიპენდია დაწესდა.***

განაცხადების მიღება დაიწყება 2024 წლის 1 მარტიდან, 2023- 2024 წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით, ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის №9, მერიის მოქალაქეთა მისაღები.

**განათლების**, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ქვეპროგრამა მოიცავს სტუდენტთა ხელშეწყობას და წახალისებას. ქვეპროგრამა გულისხმობს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის ფულადი ჯილდოთი წახალისებას, სტუდენტებში მოტივაციის ამაღლებას, განათლების ხელშეწყობას, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას.

დადგენილების პროექტის მიღება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის დამკვიდრდეს უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრის საფეხურის სტუდენტთა წახალისების ერთიანი წესი და ფულადი ჯილდოს გაცემის პროცედურა.

***აღნიშნული წესის შესაბამისად, ფულადი ჯილდო გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში და აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:***

ა) **არის** საქართველოს მოქალაქე;

ბ) **განცხადების** შემოტანის მომენტისთვის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში;

გ) **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საჯარო (კერძო) სკოლაში გავლილი აქვს ზოგადი განათლების სრული კურსი;

დ) **არის** აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი (ბაკალავრი);

ე) **სემესტრის** განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა;

ვ) **აქვს** სტუდენტის აქტიური სტატუსი.

***ფულადი ჯილდო გაიცემა სემესტრულად,*** სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სალექციო კურსის წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით.

***ფულადი ჯილდოს გაცემის ადმინისტრირება:***

***ჯილდოს*** გაცემის ადმინისტრირებას ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში – სამსახური), სტუდენტის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ამ წესით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

***წარჩინებული სტუდენტებისათვის ფულადი ჯილდოს გასაცემად აუცილებელი კრიტერიუმები და პირობები:***

1.**ფულადი** ჯილდო შეიძლება გაიცეს სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) განცხადების შემოტანის მომენტისთვის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში;

გ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო (კერძო) სკოლაში გავლილი აქვს ზოგადი განათლების სრული კურსი;

დ) არის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი (ბაკალავრი);

ე) სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა;

ვ) აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

***2. ფულადი ჯილდოს მისაღებად სტუდენტმა სემესტრის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:***

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საბანკო რეკვიზიტები;

გ) ცნობა საჯარო (კერძო) სკოლიდან.

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ;

ე) საინფორმაციო ბარათი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ.

3. ფულადი ჯილდოს ოდენობა ერთ წარმატებულ სტუდენტზე სემესტრში შეადგენს 770 ლარს.

**ფულადი ჯილდოს გაცემა:**

1. ***წარმატებულ*** სტუდენტს ფულადი ჯილდო გადაერიცხება წარმოდგენილ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

2. ***ფულადი*** ჯილდო გაიცემა სემესტრულად, სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სალექციო კურსის წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით.

**ვინ იყო ალექსანდრე ცხვედაძე და რა ღვაწლი მიუძღვის მას საგარეჯოში წერა-კითხვის გავრცელებასა და საერთოდ განათლების პირველი საფეხურის დაარსება-დაფუძნებაში?!**

## პირველი მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე

**როგორც** ამბობენ, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე, დავით გარეჯის მონასტრებში ბერებს სკოლები ჰქონდათ გახსნილი, სადაც ბავშვებს წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს, ხატვას, ხატების წერას ასწავლიდნენ.

როგორც საქართველოს ყველა მხარეში, საგარეჯოშიც სახალხო განათლების საქმე ახლებურად წარიმართა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ბატონყმობის გაუქმებამ დღის წესრიგში დააყენა ქალაქებსა და სოფლებში არსებული დაბალი ფენებისთვისაც მიეცათ სწავლის უფლებები. ახალ, განათლებულ კადრებს მოითხოვდა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა...

ახალი ცხოვრების კარნახით მეფის რუსეთის მესვეურნი იძულებული იყვნენ 1864 წლის 14 ივლისს დაემტკიცებინათ „დებულება დაწყებითი სახალხო სასწავლებლების შესახებ“. ამ დებულებით სკოლებში დაიშვებოდნენ ყველა კლასის შვილები წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად.

და აი, 1865 წელს მთელ საქართველოში მასობრივად დაიწყო სკოლების გახსნა. რო-

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

# ამაგდარი

## „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“

***ქალბატონ თამარ გოცირიძეს,** როგორც იქნა შევუბედეთ და ვთხოვეთ, საკუთარ თავზე ჩვენგან მიცემულ კითხვებზე ეპასუხა და ერთგვარი ინტერვიუ ჩაგვეწერა, მაგრამ... არაფრით ინდომა საკუთარ თავზე საუბარი... როგორ აღარ ვეცადეთ, მაგრამ „არ დაგვნებდა“... ქალბატონ თამარს ვინ არ იცნობს, რამდენი თაობა გაგვიზარდა საგარეჯოელებს, ჯერ აღმზრდელად დაიწყო მუშაობა საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში, შემდეგ კი საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა ათეული წლების განმავლობაში. სწორედ ამ პერიოდში მისი ძალისხმევით, 90-იანი წლების დასაწყისში, საბავშვო ბაღის შენობას მესამე სართული შეემატა, მოწესრიგდა სამეცადინო ოთახები, კვების ბლოკი, დაინერგა ინოვაციური მეთოდებით სკოლამდელთა აღზრდა-სწავლება.*

*შემდეგ... შემდეგ თავისი პოსტი მომდევნო თაობის წარმომადგენელს დაუთმო და თავად ლოგოპედად დაიწყო მუშაობა. გავიდა წლები და ისევ, იანვრიდან უპრობლემოდ დაუთმო თავისი სამუშაო კუთხე.*

*მხოლოდ ისეთ ინტერვიუზე დაგვთანხმდა ქ-ნი თამარი, რომელსაც დღეს გთავაზობთ.*



**საგარეჯოს** რაიონის სკოლამდელი აღზრდის სისტემამ განვითარების მეტად ხანგრძლივი, რთული, საინტერესო გზა განვლო და მყარად დამკვიდრდა სახალხო განათლების სისტემაში.

ჩვენს რაიონში განათლების სისტემასთან დაქვემდებარებული პირველი საბავშვო ბაღი გაიხსნა მაშინდელ სოფელ საგარეჯოში 1934 წელს 25 აღსაზრდელით ახლანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობაში. ამ დაწესებულების პირველი ხელმძღვანელი გახლდათ ქალბატონი **ქეთევან დუჩიძე,** შემდგომში საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდნენ: საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი **ნინო მეზვრიშვილი, ნინო ბურთიკაშვილი და მარიამ დარბაისელი.**

1958 წელს აშენდა ახალი შენობა საბავშვო ბაღისათვის, სწორედ 1958 წლიდან საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა გამორჩეულად ნიჭიერი ორგანიზატორი ქ-ნი **ლამარა გოდერძიშვილი,** იგი თავისი 50 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე წარმატებით – ჩუმად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ ემსახურებოდა ამ მზისქვეშეთში ყველაზე აღმატებულ და დიად საქმეს, რასაც პატარა გოგო-ბიჭების აღზრდა და განვითარება ჰქვია. სწორედ ამ სიჩუმეში ხმაურობდა მის მიერ ნაკეთები საქმის სიდიადე. დიახ, მან 50 წლის მანძილზე მაქსიმალურად მოახმარა როგორც ფიზიკური, ასევე ინტელექტუალური შესაძლებლობები შრომითი საქმიანობის სწორედ იმ უბანს, სადაც ის ყველაზე წარმატებული და სასარგებლო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის, რამეთუ, მოტივი ქ-ნ ლამარას ყოველდღიური მოქმედებისა, სწორედ პატარებზე ზრუნვით იყო განპირობებული. მან ფაქტობრივად განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა საბავშვო ბაღის მუშაობის ფორმები და მეთოდები: მის წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქ-ნი ლამარა დაჯილდოებული იქნა საპატიო ნიშნის ორდენით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით, იგი არის გარეჯის საპატიო მოქალაქე და დაჯილდოებულია მრავალი სიგელით, დიპლომებით და საპატიო საჩუქრებით.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ქ-ნ ლამარას მეუღლის ბ-ნ გოგი როსტიაშვილის ღვაწლი საბავშვო ბაღის მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. ბ-ნი გოგი ბუნებით ქველმოქმედი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, დიდი ენთუზიაზმით სპონსორობდა საბავშვო ბაღს მრავალი წლის მანძილზე; მრავალ სიკეთეებთან ერთად მან განსაკუთრებული ხიბლი შემატა საბავშვო ბაღის ინტერიერს. ეზო-გარემოს ბ-ნმა გოგიმ თავად შექმნა და დაამონტაჟა ორიგინალური კარუსელები, საქანელები, სასრიალოები ბავშვთა ასაკობრივი პრინციპის გათვალისწინებით, რითაც ბავშვებს ზღაპრული გარემო შეექმნა.

მრავალი წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენ თაობას მოემსახურა და გაახარა მის მიერ აღსაზრდელებისათვის შექმნილმა ზღაპრულმა სამყარომ.

1984 წელს საბავშვო ბაღს ლოგოპედის ორი საშტატო ერთეული დაემატა. ქ-ნმა ლამარამ მიიღო გადაწყვეტილება – საბავშვო ბაღის გამგის ხელმძღვანელობიდან გადადგომის თაობაზე და შეუდგა ლოგოპედურ საქმიანობას. იმ დროს მე ვმუშაობდი ქ-ნი ლამარას შერჩევით და შუამდგომლობით და განათლების განყოფილების გამგის ბ-ნ ნუგზარ ჭანტურიას ბრძანებით დავინიშნე საბავშვო ბაღის გამგის მოვალეობის შემსრულებლად. იმ დროს ქ-ნ ლამარასთან ერთად ლოგოპედად მუშაობდა დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი ქ-ნი ნელი ნავასარდოვი. ქ-ნების ლამარას და ნელის ერთობლივმა ძალისხმევამ და დიდმა პროფესიონალიზმმა საბავშვო ბაღში საინტერესო ლოგოპედ-პედაგოგთა სკოლა შექმნა. წლების მანძილზე ისინი მეთოდურ რეკომენდაციებს აძლევდნენ, ქმედით და აქტიურ დახმარებებს უწევდნენ რაიონის დამწყებ ლოგოპედებს.

ქ-ნი ნელი სცენის მოყვარე თეატრალიც გახლდათ. მან საბავშვო ბაღში დააარსა თოჯინების თეატრი და აღმზრდელ-მასწავლებლის, ასევე, პატარა აღსაზრდელების ჩართულობით საინტერესო თეატრალურ ღონისძიებებს ატარებდა, რითაც ჩვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ერთობ ბედნიერები იყვნენ.

ქ-ნმა ნელიმ 1952 წელს სულ ახალგაზრდამ პირველად შედგა ფეხი საგარეჯოს კულტურის სახლის სცენაზე, როგორც სცენისმოყვარემ და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. საგარეჯოელებს კარგად ახსოვთ მის მიერ განსახიერებული საინტერესო შთამბეჭდავი როლები პიესებში: „კარგი ამხანაგი“, „ასი მილიონი“, „არსენა“, „უმადური“, ღალატი“, „სახელგატეხილნი“, „ბარათშვილი“, „სამი უბედური“ და ბოლოს თეატრის 125 წლის იუბილეზე ქ-ნი ნელი მაყურებლის წინაშე წარსდგა რ. ინანიშვილის პიესა „ალალეში“, – თანანას როლის შესრულებით.

სამწუხაროდ, ქ-ნი ნელი ორიოდე წლის წინ გარდაიცვალა და დატოვა ოჯახი – მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. მისგან მოფერებულ-დაფრთიანებული სკოლისკენ და ცხოვრების გზების წარმატებით და პირნათლად სიარულისთვის დალოცვილ საგარეჯოელთა მრავალ თაობას ალბათ ხშირად გაახსენდება ნელი მასწავლებლის უშურველად გაცემული სითბო და სიყვარული. მერწმუნეთ, ასეთი ადამიანების სახელები ხშირად ისმის თაობიდან თაობაში, ვამაყობთ მათ სიახლოვეს გატარებული წლებით და გვიხარია – ასეთი ადამიანების კვალი ნათელი ძალიან დიდხანს რჩება მოსახლეობის მახსოვრობაში.

***და კიდევ, რაზე მინდოდა გაზეთის ფურცლებზე საუბარი:***

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ***ქველმოქმედება*** დიდი ცხოვრებისეული გაკვეთილია, რომელიც ადამიანებში მომავლის იმედს აღვივებს. ქველმოქმედების უნარი ყველას არ გაგვაჩნია, იგი რჩეულთა ხვედრია. დიახ, სწორედ რჩეულთა შორის მინდა მოვიხსენიო ჩემი თანაკლასელი, ბავშვობის მეგობარი, წარმატებული სპორტსმენი, დაცვის პოლიციის ყოფილი უფროსი **მიხეილ არჩუაძე,** რომლის მუდმივი მონატრება, დიდი ნოსტალგია ჭიდაობა გახლდათ. გარკვეულ მიზეზთა გამო დიდ სპორტს ჩამოცილებული მიხეილის მუდმივი ფიქრი იყო სპორტის ეს ულამაზესი სახეობა. სწორედ აქედან გამომდინარე მან, პოლიციის შენობაში შექმნა სპორტული დარბაზი, სადაც დღესაც აქტიური, სისხლსავსე სპორტული ცხოვრება მიმდინარეობს – გარეჯელი მოზარდები ჭიდაობის ხელოვნებას ეუფლებიან და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ.

საგარეჯოელებს კარგად გვახსოვს, რა დიდი ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა მდინარე თვალთხევზე ხიდის მშენებლობას – ეს მისი საჩუქარია ხევს გაღმა-გამოღმა მცხოვრებ გარეჯელთათვის. ხალხმა ამ ხიდს „სიყვარულის ხიდი“ შეარქვა.

ბ-ნი მიშა ის პიროვნება იყო, რომელიც თავისი ინიციატივით სპონსორობდა №1 საბავშვო ბაღს თავის კოლეგებთან ერთად, სისტემატურად გვერდში გვედგა პრობლემების გადასაწყვეტად. სწორედ მისი დახმარებით შევძელით დიდი პატრიოტის, ***1875 წელს თბილისის სასულიერო სემინარია-ადამთავრებული ალექსანდრე ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენება*** შესაფერის ადგილზე. ცხვედაძის ნეშტი აღმოვაჩინეთ საბავშვო ბაღის შენობის ერთ-ერთი კედლის საძირკველში. ბ-ნი ალექსანდრე ცხვედაძე საგარეჯოში ახლად გახსნილი სკოლის მასწავლებელიც იყო. მან დაარსა (ჩამოაყალიბა) დრამატული დასი და დაიწყო პირველი რეპეტიციები, რითაც საფუძველი ჩაუყარა საგარეჯოს თეატრის დაარსებას. პირველი სპექტაკლი დაიდგა 1876 წლის 6 იანვარს სკოლის შენობის ერთ-ერთ მოზრდილ ოთახში. სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ ალ. ცხვედაძის პიესა „ბედნიერი ქორწილი“ – ბ-ნ ცხვედაძის რეჟისორობით. მადლობა აწ გარდაცვლილ მიშა არჩუაძეს და მთელ მის კოლექტივს;

დიახ, სიკეთე აძლიერებს ქვეყანას!.

---

# „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“

**ნინო მამუჩიშვილი:**

## „– შოთიკო თავად დიდი საჩუქარია“...



**არ** შეიძლება არ დაეთანხმო და ეჭვი შეიტანო ჩვენი დიდი მგოსნის ქართველი დედების ასეთ შეფასებაში. კარგი შვილები ქართველმა კაცმა ხომ დედის გულის ვარდს შეადარა და ჩვენის მხრით მხოლოდ იმას დავძენდით, რომ ასეთი შვილები არამარტო დედ-მამის, არამედ მთელი ერის, მთელი ქვეყნის საგანძური და ბედნიერი მომავალია. ამ მხრივ, თუ ჩვენს მუნიციპალიტეტში ვინმეს თავი მოეწონება, ერთ-ერთი აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ***საორგანიზაციო საკითხების სპეციალისტი*** ქ. **ნინო მამუჩიშვილია**. ამ გაერთიანების ძიუდოს სექციის წარმატებული და ***პერსპექტიული ძიუდისტის*** **შოთა ბაჩოშვილის** დედა, მოჭიდავისა, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი და ჩვენი კუთხე საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ პრესტიჟულ ასპარეზობებზე. მარტის დღეებია და აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ჩვენი მკითხველისათვის უფრო ახლოს გაგვეცნო გარეჯული ძიუდოს ამ ამომავალი ვარსკვლავის დედა, თუმცა მისი მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარე, ცოტა არ იყოს შეგვიფერხდა მისი ამ ინტერვიუზე დათანხმება და ჩვენს კითხვებზეც მხოლოდ ლაკონური პასუხებით შემოიფარგლა.

– მყავს ორი შვილი, შოთიკო და თეა ბაჩოშვილები. შოთიკო, როგორც უკვე ცნობილია, წარმატებული ძიუდოისტია და ასევე კარგი მოსწავლე საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში. მან ძალიან პატარა ასაკიდანვე დაიწყო საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ვარჯიშების ყურება და შემდეგ კი, თავად ჩაერთო ამ საქმიანობაში. თეა კი სტუდენტია, – ასე გაგვაცნო თავისი შვილები ნინომ.

***– შოთიკოს ძიუდოთი დაინტერესება ალბათ უფრო მამის – რეზო ბაჩოშვილის დამსახურებაა, რომელიც სპორტული გაერთიანების მუშაკია და დროის უმეტესი ნაწილის გატარება საჭიდაო დარბაზში უწევს. როგორც დედას, გემახსოვრებათ, როდის შედგა შოთიკოს პირველი დიდი წარმატება?***

– შოთიკომ პირველი დიდი წარმატება 2014 წელს იზეიმა, როცა გახდა საგარეჯოში გამართული რაიონული პირველობის ჩემპიონი და მისი ეს წარმატება, რა თქმა უნდა არასოდეს დამავიწყდება.

***ამ წარმატების შემდეგ ერთმანეთზე აიკინძა მისი საქართველოსა თუ საზღვარგარეთის ტატამებზე მოპოვებული წარმატებები. ამ ორი თუ სამი წლის წინ იგი საქართველოს ერთ ჩემპიონატში ორჯერ გახდა ჩემპიონი, ჯერ ნევაზაში, შემდეგ კი ჩვეულებრივ ძიუდოში.***

ეს იყო 2022 წელს. 1-2 ოქტომბერს თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში, სადაც შოთიკო 50კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. აქედან 1 ოქტომბერს მან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თქვენგან ნახსენებ ქვეჭიდში. 2 ოქტომბერს კი გახდა ტრადიციული ძიუდოს ჩემპიონი.

***– სულ რამდენჯერ აქვს მას ეს ტიტული მოპოვებული?***

– 2023-2024 წლებში შოთიკო საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია.

***– 2023 წელს შოთამ საზღვარგარეთის ქვეყნების ტატამებზეც მოასწრო თავის გამოჩენა. მხედველობაში მაქვს ხორვატიასა და სლოვენიაში მის მიერ მოპოვებული გამარჯვებები. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?***

– მას შემდეგ რაც შოთი გახდა 2023 წლის საქართველოს ჩემპიონი, მან მონაწილეობა მიიღო 11-12 მარტს ხორვატიის ქალაქ ზაგრებში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში, სადაც 2006-2007 წელს დაბადებულ ძიუდოისტებში გახდა II პრიზიორი 50კგ წონით კატეგორიაში. 25 ივლისს კი გახდა სლოვენიის ქალაქ მარიბორში გამართული ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონი იგივე წონაში.

***– პასუხი თითქმის წინასწარ ვიცი, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, რას განიცდით, როგორც დედა მისი ასეთი წარმატებების დროს?***

– ჩემთვის შოთის ყოველი გამარჯვება არის დიდი სიხარულისა და სიამაყის შემცველი.

***– ჩვენგან დამოუკიდებლად დრო თავისას შვრება და წლები თავისით, შეუმჩნევლად გარბიან. რომელ კლასშია ახლა შოთი?***

– შოთი ახლა საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა.

***– საჩუქრები თუ მიიღეთ მარტის ამ დღეებში ჩემპიონი შვილისაგან?***

– შოთიკო ჩემთვის თავად დიდი საჩუქარია, როგორც შვილი და წარმატებული სპორტსმენი. ამას იქით მნიშვნელობა არა აქვს, რას მიიღებს დედა ასეთი შვილისაგან?

***– ნამდვილად, ამიტომ მარტის ყველაზე დიდ საჩუქრად მისგან ალბათ ის უნდა იყოს, რომ იანვარში გახდა ძიუდოში მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონი 2007-2008 წლებში დაბადებულთა შორის. როგორია თქვენი ასეთი წარმატებული შვილის დედის ოცნება და სურვილები?***

– ჩემი ოცნებაა შოთის ოცნებებისა და დასახული მიზნების ასრულება. მოხარული ვიქნები, ყველა ქალბატონი და დედა იყოს ბედნიერი და ლამაზი გაზაფხულივით.

*ესაუბრა*

*გივი დაბახიშვილი*

# მხატვარი, შემოქმედი, დედა, ბებია
# ფერების, სილამაზის მესაიდუმლე



**დაიბადა** საგარეჯოს რაიონის მეზობელ სოფელ სართიჭალაში, აქვე დაამთავრა სკოლა. დაწყებით კლასებში საოცრად გულისხმიერი, ყურადღებიანი პედაგოგი ეთერ სამხარაული თითოეულ მოსწავლეში საქართველოს მომავალ, ღირსეულ მოქალაქეს ხედავდა და ყოველმხრივ ცდილობდა ყოველ მათგანში სილამაზის აღქმისა და სილამაზის შექმნის ინტერესი გაეღვიძებინა, თითოეულ მათგანში მიძინებული ნიჭი გამოევლინა. და ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაზეთის მკითხველის დღევანდელი სტუმარიც დაწყებითი კლასებიდანვე დაინტერესდა ხატვით, ფერების აღქმით, ბუნებაში არსებული თბილი და ცივი, ნათელი და მრუმე ფერების შესწავლით. ხატავდა, მუშაობდა და თავად, დამოუკიდებლად ცდილობდა ხატვის საიდუმლოების ამოცნობას, გემოვნების დახვეწასა და განვითარებას. მაშინ სართიჭალაში არ ფუნქციონირებდა ხატვის წრე. და როგორ ფიქრობთ, მოახდინა თუ არა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ თავის შესაძლებლობებში გარკვევა, ხელის და გემოვნების დახვეწა?! დიახ, მოახერხა და მერე როგორ...

სკოლის დამთავრების შემდეგ თამარ იორამაშვილმა სწავლა თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში – მხატვარ-კერამიკოსის სპეციალობაზე გააგრძელა, რაც მაშინ მხოლოდ ძალზე იშვიათი ნიჭისმქონე ახალგაზრდებისთვის იყო თითქოს ადვილი და შესაძლებელი.. თუმცა თამარისთვის ეს იყო ინტერესი, მისწრაფება, ახლის შეცნობისა და დაუძლევლის შეჭიდებისა და წარმატებით დაძლევის სურვილი. საამისოდ ყოველთვის ჰქონდა უნარიც და ძალაც, თუმცა, საინტერესო ქმნილების შესაქმნელად ხელს ერთი პერიოდი ძვირადღირებული საღებავების დეფიციტი უშლიდა, ეს უკვე 90-იანი და 21-ე საუკუნის 10-იანი წლები იყო...

თამარმა სწავლა თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი) გააგრძელა და მიიღო ხატვა-ხაზვის მასწავლებლის კვალიფიკაციის სტატუსი.

თამარმა თავისი ბედი საგარეჯოელ სოსო (ელდარ) ელერდაშვილს დაუკავშირა. საოცარი ის იყო, რომ ეს ერთი შეხედვით სუსტი აგებულების გოგონა როგორ, რანაირად უძღვებოდა დიდი ოჯახის საოჯახო საქმეებს, ზრდიდა სამ შესანიშნავ გოგონას, მისდევდა სოფლის მეურნეობას, ჰქონდა საპასუხისმგებლო საქმე – ხატვის მასწავლებელი, საგარეჯოს კულტურის სახლის მხატვარი, ბავშვთა თეატრის მხატვარი, შემდეგ კულტურის განყოფილების მხატვარი და მაინც ახერხებდა გამოენახა დრო და დაეხატა, მეგობარ ახლობლებისათვის ეჩუქებინა თავისი ნასათუთები – კერამიკაზე შესრულებული ნახატები. ყოველი კერამიკული ნაკეთობის შექმნისას კი ყოველთვის გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას – ის ხომ საქვეყნოდ ცნობილი და მსოფლიოში დაფასებული მოქანდაკის, დიდი შემოქმედის ზურაბ წერეთელის მოწაფე იყო! ამიტომაცაა მისი ნამუშევრები დახვეწილი, ფაქიზი ფერთა შეხამებით, გემოვნებით შესრულებული.



თამარ იორამაშვილს არაერთხელ აქვს მოწყობილი თავისი ნამუშევრების გამოფენა, სადაც მნახველს, დამთვალიერებელს ფერებისა და საგნების, მოვლენების თავისებურად აღქმის შესაძლებლობას სწორედ ქსოვილზე, ქაღალდსა და კერამიკულ ნაკეთობაზე შუქ-ჩრდილების დახმარებით აწვდის, ამიტომაცაა, უამრავი ტურისტი დაინტერესდა სხვადასხვა დროს მისი შემოქმედებით და დღეს თამარის ნახატები ევროპის რამდენიმე ქვეყნის ხელოვნებისმოყვარეთა ოჯახებში საპატიო ადგილასაა წარმოდგენილი, ზოგმა კერძო კოლექციაც შეავსო. მაგრამ ჩვენთვის საგარეჯოელებისათვის მაინც დიდი საჩუქარია, როცა თამარის ხელით გაფორმებულ ღონისძიებას ვნახავთ, თუნდაც თოჯინების თეატრის სპექტაკლებზე წარმოდგენილ ნახატებს, საჯარო სკოლებში „დედა ენის“ წიგნიდან გადმოსულ პერსონაჟებს. 2024 წლის პირველ დღეებში კი ყველა მოხიბლა ჩვენი ქალაქის ცენტრში მორთულმა ნაძვის ხემ, რომლის უშუალო მორთვას სწორედ თამარ იორამაშვილი დღეების განმავლობაში, გვიან ღამემდე დეკორატორ-გამფორმებლებთან ერთად აწარმოებდა.



დღეს თამარის შემოქმედებით ცხოვრებას სამ ძლიერ ვარსკვლავთან ერთად ორი მანათობელი, კაშკაშა ვარსკვლავი, ორი გოგონა, ორი შვილიშვილი ალამაზებს. უფროსი ქალიშვილი – ქეთი – შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის საპასუხისმგებლო პოსტზეა, უმცროსმა მარიამმა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საღვთისმეტყველო სასწავლებლის ფსიქოლოგიისა და რელიგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ საბუღალტრო აღრიცხვის ფაკულტეტი.ერთხანს ლიბერთი ბანკის საგარეჯოს ფილიალში მუშაობდა ოპერატორად, შემდეგ საგარეჯოს მელიორაციის სამმართველოში განაგრძო მუშაობა,ამჟამად დეკრეტიულშვებულებაშია და ახლა კი ორ გოგონას ზრდის, შუათანა შვილმა – მერსიმ კი ოჯახი სულ ახლახან შექმნა.

# გაჭირვებულზე ფიქრსა და ზრუნვაში...
### ნაზიკო – ნაზი სამუნაშვილი

***ერთი კაფანდარა, მოძრავი, მოუსვენარი გოგონაა. და რატომ?! არ ასვენებს ფიქრი – ხომ არ შია ვინმეს, აქვს თუ არა სეზონთან შესაფერისი ტანსაცმელი მის თანაქალაქელს, ერთ წლამდე ასაკის ბავშვს ხომ არ სჭირდება სპეცკვების პროდუქტი?! ხანშიშესულს, რომელსაც უჭირს სიარული, ხომ არ შემოაკლდა წამალი?!***

***ხოდა, ამ ფიქრებსა და საზრუნავში მთელი არსებით ხომ თავად გადაეშვა და არც ოჯახის წევრები დაზოგა. დედა – დალი ოსეფაშვილი, რომელიც აზერბაიჯანულ სექტორში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის და არის წამყვანი მასწავლებელიც. ამ საქმის მოსაგვარებლად არც მამას – დემურის და ძმას – გურამის „ინდობს“... მათაც სთხოვს ხან ფულად დახმარებას, ხან ტრანსპორტირებას...***

***დადის ეს ცქრიალა გოგონა და თან სიკეთე დააქვს...***

***როგორც იქნა დავიყოლიეთ, თავის თავზე მოეთხრო ჩვენთვის და თავის საკეთებელზე, თუმცა ძალიან გაგვიჭირდა – სალაპარაკო არ არის, რასაც მე ვაკეთებო...***



**დავიბადე** 1996 წლის 1 ოქტომბერს. 2014 წელს დავამთავრე საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა. ამავე წელს ჩავაბარე უნივერსიტეტში და პროფესიით ვარ იურისტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა, მაგრამ ჩემი პროფესიით არ მიმუშავია, კაბინეტში ჯდომაზე მეტად ყოველთვის ბუნებასთან და ცხოველებთან სიახლოვე მინდოდა და ამიტომ აღმოვჩნდი სოფლის მეურნეობის მიმართულებაში. ამ ეტაპზე ვმუშაობ შ.პ.ს „კარტლისი“-ის აგროსისტემებში, მოლარე კონსულტანტის პოზიციაზე. პარალელურად გავიარე ხეხილის სხვლისა და დეკორატიული ბაღის მოვლის კურსები. ძალიან მინდა, სოფელში საკუთარი ბაღი და მეურნეობა მქონდეს. ვფიქრობ, აგროტურიზმის მიმართულებით დიდი პოტენციალი აქვს საგარეჯოს. გარდა სოფლის მეურნეობისა, მაინტერესებს თანამედროვე ტექნოლოგიები, აქტიურად ვსწავლობ ციფრულ მარკეტინგსა და კონტენტის წერას. თავისუფალ დროს ძირითადად სოფელში ვატარებ, ძალიან მიყვარს ტყეში სეირნობა და ბოსტანში ფუსფუსი. ჩემი მთავარი გამოწვევა ამ ეტაპზე, მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვაა, სწორედ ამ იდეის გარშემო გავერთიანდი ჩემს მეგობრებთან და საქართველოს ინოვაციისა და ტექნოლოგიების სააგენტოს -GITA დაფინანსებით, ვქმნით ***მობილურ აპლიკაციას, რომელიც ძაღლის სხეულის დასკანერებით ამოიცნობს მის სხეულზე არსებულ კანის დაავადებას და შემოგთავაზებთ, როგორც უფასო ონლაინ კონსულტაციას ვეტერინართან, ასევე უახლოეს ვეტერინალურ კლინიკას, ვეტერინალურ აფთიაქსა და სხვა ვეტ. მომსახურებებს.*** პანდემია გახდა გადამწყვეტი ჩემი საქველმოქმედო ღონისძიებებისთვის. სწორედ მაშინ, როცა ყველა სახლში ჩავიკეტეთ და ბევრმა სამუშაო ადგილი დაკარგა, მოსახლეობა აღმოჩნდა შიმშილის საფრთხის წინაშე და გადავწყვიტე, დავხმარებოდი ოჯახებს, რომლებიც იყვნენ სოცდაუცველი, მრავალშვილიანები. მარტოხელა მოხუცები და დედები ჩვენი პირველი ბენეფიციარები იყვნენ. თავიდანვე ვიცოდი, რომ უპირველესად მათთვის აუცილებლად საჭირო საკვები და ჰიგიენური ნივთები უნდა მიმეტანა. მიმქონდა წამლები და ტანსაცმელიც. ჩემი ოჯახიდან წაღებული საკვებით დაწყებული მოძრაობა, მალევე გახდა ცნობილი, შევქმენი ფეისბუქ ჯგუფი "აჩუქე(საგარეჯო)", სადაც მუდმივად ვაქვეყნებ ინფორმაციას ბენეფიციარი ოჯახების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. ამ ჯგუფშივე გროვდება თანხა და სხვადასხვა ნივთები მათთვის. საგარეჯოელი ხალხის ჩართულობით, დღეს 400-ზე მეტ ოჯახს დავეხმარეთ. ძირითადად ოჯახის წევრები, თუმცა ხშირად მეგობრებიც მეხმარებიან ოჯახებისთვის პროდუქტების შეძენასა და დახარისხებაში. ყველაზე რთული, ტანსაცმლის გადარჩევა, ბენეფიციარების სქესის, ასაკის და წონის მიხედვით დახარისხებაა. ამ ყველაფერს ყოველთვის დედასთან ერთად ვაკეთებ, ის ყურადღებით არჩევს შემოწირულ ტანსაცმელს და მცირედი დაზიანების შემთხვევაშიც კი არ მატანს ბენეფიციარებთან. საკვები პროდუქტის და ყიდვისას, მუდმივად აკონტროლებს ვარგისიანობის ვადას და მხოლოდ ამის შემდეგ მაძლევს უფლებას ეს ყველაფერი ოჯახებს გადავცე. „აჩუქეს“ სიკეთის ამბავი გრძელდება დღემდე და აუცილებლად გაგრძელდება მომავალშიც, რადგან ჩემთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო, ვიდრე ბენეფიციარების სიკეთითა და მადლიერებით სავსე თვალების დანახვა.

# ამაგდარი
## ქალი, რომელსაც მიმოზა უყვარს



**არასოდეს** მახსოვს ეს ქალბატონი ღიმილის გარეშე, თუმცა, თავისი გარეგნობით, თვალებიდან მომდინარე თბილი მზერით, ყოველთვის იპყრობდა ყველა ასაკის ადამიანის ყურადღებას. ქუჩაში ყველა სცნობდა, თავაზიანად, მოწიწებით ესალმებოდნენ, მოიკითხავდნენ და ხშირად მადლობასაც ეუბნებოდნენ გაწეული ამაგისათვის. სიმართლე გითხრათ, მე ამ ქალბატონთან ახლო, სამსახურებრივი შეხება არ მქონია, მაგრამ, კარგად მახსოვს, ბავშვობაში და შემდეგ, ჩემი სტუდენტობისას საგარეჯოელთა კურორტადწოდებულ „კოდაზე“ როგორ მშვიდად ათენ-აღამებდნენ ძუძუმწოვარა ბავშვების დედებიც და ხანმოკიდებული ადამიანებიც – მათი ჯანმრთელობის სადარაჯოზე მუდამ ფხიზლად იდგა მაშინდელი საგარეჯოს №2 საბავშვო ბაგა-ბაღის ექთანი – ქ-ნი **თინა მეზვრიშვილი-რევაზიშვილი...** იცოდნენ, არასოდეს არც მათ დამსვენებლებს დაზარდებოდათ ზაფხულის პაპანაქება სიცხეს გარიდებული საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლებისა და თანამშრომლების დიდი საყრდენი... მეც, რაღაცნაირი მორიდებით, დღემდე გამოყოლილი მორცხვი სიყვარულით მიყვარდა და დღესაც მიყვარს ეს იმედისმომცემი ქალბატონი, რომელიც ჩემი დანახვისას, ყოველთვის მე მახსენებდა და დღესაც მახსენებს მასთან ერთად ერთ უბანში თანაშეზრდილ დედაჩემთან ჩემს მსგავსებას...

დიახ, ეს ის ამაგდარი ქალბატონია, რომელიც დღეს ხშირად მარტოვდება თავის ფიქრებით წარსულთან ვალმოხდილი, საგარეჯოელების სიყვარულში გალეული წლებით. 1947 წელს დაქორწინდნენ საგარეჯოელები გრიგოლ რევაზიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკლულტეტის სტუდენტი და სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი თინა მეზვრიშვილი. 1948 წელს პირველი შვილი – გელა შეეძინათ. შემდეგ იყო 1951 წელი ... შუა აზიაში კახეთის ლამაზი, მშობლიური მიწიდან აყრილებმა ორწელიწადნახევარი გაატარეს უსამართლოდ მათთან ერთად გადასახლებულ – დიდ სამამულო ომში (მაშინ ასე უწოდებდნენ მეორე მსოფლიო ომს) მეუღლის ტყვედნამყოფობის გამო. იქნებ ზოგიერთს ადვილად მოეჩვენოს ის ორწელიწადნახევარი, მაგრამ, დავფიქრდეთ, რამდენი თვე, რამდენი დღე და რამდენი 24 საათია, სამშობლოდან გადახვეწილი, უცხო, უსიცოცხლო მიწაზე გატარებული?! აღარც გახსენებია ლამაზი მიმოზები, მეუღლე გაზაფხულზე რომ „ახერხებდა“ სადღაც შოვნას და მის გახარებას. 1953 წელს, როგორც იქნა დაუბრუნდნენ მონატრებულ კერიას, მომლოდინე მშობლებს და მათი დაბრუნების მოლოდინში გულგალეულ დედმამიშვილებს.. მერე რა ტკბილი ურთიერთობა ჰქონდა დედამთილ-მამამთილთან, მულებთან – ელენესთან და ეთერისთან... 1954 წელს ნანა შეეძინათ, 1958 წელს კი ნაბოლარა – თემური. მეუღლე პედაგოგად მუშაობდა, წლების განმავლობაში იყო ღამის სწავლების სკოლის დირექტორი. თავად ქ-ნი თინა კი 45 წელი ემსახურა №2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელ, ნორჩ საგარეჯოელთა ჯანმრთელობას – იყო მათი დიეტოლოგ-ექთანი და შემდეგ – 5 წელიწადი კი საგარეჯოს რაისაავადმყოფოს ინფექციური განყოფილების მედიცინის დად მუშაობდა.

წლები წლებს მიჰყვა, გელამ და თემურიმ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრეს, ნანამ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, წლები ჯერ საგარეჯოს რაისაავადმყოფოს პედიატრიული განყოფილების პედიატრი, შემდეგ საგარეჯოს ბავშვთა საავადმყოფოს პედიატრი, კლინიკა „ლაიფის“ პედიატრი და ნანა დღესაც აგრძელებს საგარეჯოელი პატარების ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნას. ქ-ნ თინას შვილიშვილებიდან სამი ვაჟი და ერთი გოგონა – ნინი ჰყავს, ნინი დედის – ნანას კვალს გაჰყვა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია.

ამაგდარი დედა, ბებია, მედიცინის მუშაკი ზოგჯერ ფანჯრიდან გაჰყურებს ქუჩის გადაღმა საგარეჯოს №2 საბავშვო ბაღის შენობას, სადაც უკვე თინა მეზვრიშვილის შვილთაშვილების ხნისანი ჟრიამულობენ...

მიმოზები კი ნანას, ნინის, თემურის მოაქვთ ყოველ გაზაფხულზე ბებიისა და დედიკოსათვის.

ამ ზაფხულს ფერად-ფერადი ყვავილებით მიულოცავენ დაბადებიდან 99-ე წლისთავს.

გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას, მხნეობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ქ-ნი თინა, თქვენი სიყვარულის, ამაგის მევალენი ვართ ჩვენ...

<u>გაგრძელება</u>

# პირველი მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე





გორც კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს 1879 წელს გამოცემული „სამახსოვრო წიგნი" იუწყება, 1865 წლიდან დაწყებითი ტიპის სკოლები გახსნილია თბილისის მაზრის ისეთ სოფლებში, როგორიც იყო: მარტყოფი, ნორიო, ხაშმი, პატარძეული, საგარეჯო, გიორგიწმინდა. სკოლები პრიმიტიულ საწყისებზე იყო შედგენილი. იგი ითვალისწინებდა სწავლის ხანგრძლივობას 4-5 წლამდე. სკოლის ხარჯებსა და მასწავლებელთა ხელფასს გლეხობა იხდიდა სასოფლო ყრილობის გადაწყვეტილებით.

ისე, როგორც სხვა სოფლებშიც პედაგოგების ფიზიკურად ნაკლებობის გამო გლეხის ბავშვებს წერა-კითხვას მღვდლები ასწავლიდნენ. ზოგიერთი საბუთით, მაგალითად, 1894 წელს გამოცემული „საქართველოს კალენდრის" მიხედვით საგარეჯოში სკოლის გახსნის თარიღად დასახელებულია არა 1865, არამედ 1875 წელი. 1875 წელს საგარეჯოში მართლაც გაიხსნა განათლების სისტემის ორკლასიანი სასწავლებელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე საგარეჯოში სკოლა არ არსებობდა.

გაზეთ „დროების" 1870 წლის №30-ში ვკითხულობთ: „საგარეჯოში აგერ რამდენი წელიწადია სასოფლო შკოლაა გამართული. ასწავლის სოფლის მღვდელი. ამბობენ, ამ შკოლაში 30-დან 40-მდე ყმაწვილი სწავლობსო", მაგრამ მხოლოდ ეს გაზეთი არ ადასტურებს საგარეჯოში სკოლის არსებობას 1875 წლამდე. ამას ადასტურებდნენ საგარეჯოელი ღრმად მოხუცებული ადამიანებიც.

მეფის მთავრობამ 1874 წელს გამოსცა ახალი დებულება დაწყებითი სახალხო სასწავლებლების შესახებ. ამ დებულების მიზანს შეადგენდა – მთავრობას თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა განათლების საქმე. 1879 წლამდე საგარეჯოში არსებულ პრიმიტიულ დაწყებით სკოლას, სადაც სწავლება ძირითადად 4-5 თვეს წარმოებდა, მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, არ გააჩნდა თავისი მუდმივი შენობა და არც მასწავლებლები ჰყავდა. ისედაც გაღატაკებული გლეხობა პირიდან ლუკმას იცლიდა და შვილების განათლებისათვის უკანასკნელ კაპიკებს დებდნენ, მაგრამ მათი შვილები მაინც ვერ იღებდნენ ელემენტარულ განათლებას. ამიტომ 1874 წელს საგარეჯოში დაიწყო ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა ისევ მოსახლეობის ხარჯით. ამავე წელს თბილისის გუბერნიის სასწავლო მზრუნველის წარდგინებით განათლების სამინისტროს დაწყებითი ტიპის ორკლასიან სასწავლებლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა **ალექსანდრე ცხვედაძე.**

განათლების სამინისტრო საგარეჯოს ორკლასიანი სასწავლებლის წინაშე აყენებდა ამოცანას, – სოფლის ბავშვებისათვის მიეცა ელემენტარული განათლება, სოფლის სხვა დაწყებით სკოლასთან შედარებით პროგრამისებული სწავლებით.

საგარეჯოს ორკლასიანი სასწავლებლის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ადგილობრივი ინტელიგენციისა და შეძლებული კლასების წარმომადგენლებმა: ლევან ჩერქეზიშვილმა, მარო ჩერქეზიშვილმა, ნიკო ავალიშვილმა, სპირიდონ ჯაბადარმა, ანდრია კაპანაძემ, დიმიტრი ციციშვილმა, ნიკო ქურდოვანიძემ, მღვდელმა თევდორე გულისაშვილმა და სხვებმა.

1875 წლის შემოდგომისათვის სასკოლო შენობა მზად იყო. სწავლის დაწყების წინ ალექსანდრე ცხვედაძემ დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობაში სასკოლო ასაკის ბავშვთა შეგროვებისა და ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით ბავშვების მომარაგებისათვის.

„სასოფლო გაზეთის" ცნობით 1875 წლის 3 აგვისტოს (ძველი სტილით), შედგა სოფლის ყრილობა, რომელმაც ამოირჩია სკოლის მზრუნველები. ფარული კენჭისყრით სკოლის მზრუნველებად ამოირჩიეს ავეტიკა არუთინოვი და იაგორა ასლამაზოვი. გარდა ამისა, სკოლაზე საერთო მზრუნველობა იკისრა საგარეჯოში ქართლიდან ჩამოსიძევებულმა თავადმა აქციის მოხელე დიმიტრი ციციშვილმა და რამდენიმე აზნაურმა – თითოეულმა 10-10 მანეთით დახმარება აღუთქვეს სკოლას. („სასოფლო გაზეთი," 1875წ. №10)

პირველი ზარი სკოლაში საზეიმოდ 1875 წლის 21 ოქტომბერს (ძვ. სტილით) დაირეკა. მოზეიმე ხალხისა და მოსწავლეებისათვის სიტყვით მიუმართავს სკოლის გამგემასწავლებელს ალექსანდრე ცხვედაძეს („სახალხო გაზეთი" 1875 წ. №11 გვ2).

სკოლისათვის მთავარ ფიგურას სკოლის გამგე-მასწავლებელი წარმოადგენდა. ალექსანდრე ცხვედაძეს გულმოდგინედ მოუკიდია ხელი საქმისათვის და შედეგიც ჰქონია. ალექსანდრე ცხვედაძის თანაშემწე ***ადგილობრივი მკვიდრი ნიკოლოზ სოლომონის ძე ქურდოვანიძე*** ყოფილა. ალექსანდრე ცხვედაძის წლიური ხელფასი 430 მანეთს შეადგენდა. მისი თანაშემწის ნიკოლოზ ქურდოვანიძისა კი – 150 მანეთს. საგარეჯოს სკოლის ბიუჯეტი 1879 წელს შეადგენდა 691 მანეთს, მოსწავლეთა რაოდენობა – 84 იყო.

ალექსანდრე ცხვედაძეს თავის ამოცანად მარტო მოსწავლეთა აღზრდა როდი ჰქონდა დასახული. იგი, როგორც თავისი ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე, დაინტერესებული იყო შეემსუბუქებინა ექსპლოატატორთა უღელქვეშ მგმინავი ხალხის ხვედრი. მას სურდა ხალხში განათლების შეტანა. სწორედ ამ მიზნით მან რუსეთიდან გამოიწერა სასკოლო ნაკვეთისათვის ინვენტარი, თესლები და კარგი მეურნეც, რის შესახებაც იერემია გულისაშვილი იგონებს: ცხვედაძემ მალე აუღო ალღო ხალხის უვიცობას მეურნეობაში და მისი აღდგენა განიზრახა. გამოიწერა უმნიდან „კარგი მეურნე, ვინმე როჟკოვი, ხალხს მისცა ორი დესეტინა საბაღე ადგილი და 60 თუმანი ფული წელიწადში ხარჯების და ინვენტარისათვის. რამდენიმე წელიწადში აყვავდა მშვენიერი ხეხილით და ბოსტნეულით საგარეჯოს სკოლის ბაღი" („საქართველოს განათლების მუშაკი", 1926 წელი №9). იმდროინდელ საგარეჯოში ენით აუწერელ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ მშრომელები. უმეცრება, ცრურწმენა, საშინელი ექსპლოატაცია სასულიერო წოდებისა და მეფის მოხელეების მხრივ, ჩარჩ-ვაჭრების განუკითხავი თარეში გონებას უბნელებდა და გზა-კვალს უბნევდა ადგილობრივ გლეხობას. ჩაგრულმა ადამიანებმა ალექსანდრე ცხვედაძის სახით დაინახეს თავისი ქომაგი და მოსარჩლე. ამიტომ მას პატარა ღმერთიც კი უწოდეს.

სკოლის საქმიანობის გარდა, ალექსანდრე ცხვედაძემ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღა საგარეჯოში და მის ახლო-მახლო სოფლებში. პირველ რიგში მან ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა დასი და 1876 წელს უკვე დადგა პირველი წარმოდგენა გ. ერისთავის „ძუნწი", რითაც საძირკველი ჩაუყარა საგარეჯოს სახალხო თეატრს. 1975 წელსვე ჩამოაყალიბა საგარეჯოს ბანკი. 1875 წელს სამომხმარებლო კოოპერატივი – დეპო, 1879 წელს ქმნის საგარეჯოში პირველ სამკურნალო დაწესებულებას. პარალელურად საფუძველს უყრის სახალხო სამკითხველოს.

გარდა ამ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობისა, ალექსანდრე ცხვედაძე წარმოადგენდა საქართველოს ნაროდნიკული მოძრაობის საგარეჯოს ცენტრის ხელმძღვანელს, რომელსაც თავის ირგვლივ შემოკრებული ჰყავდა გათვითცნობიერებული გლეხობა, მოზარდი თაობა, რომელთანაც დიდ პროპაგანდისტულ და საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა.

მართალია, ცოდნამოწყურებული გლეხობა დიდი ხალისით გზავნიდა თავის შვილებს სკოლაში, მაგრამ თავის ჩამორჩენილობით გოგონებისათვის ცოდნის მიღებას ეწინააღმდეგებოდა. ალექსანდრე ცხვედაძემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სკოლაში მოეზიდა გოგონები, რისთვისაც, პირველ რიგში სოფლის თავკაცები დაიყოლია. აი, რას გვიამბობს ალექსანდრე ცხვედაძის ყოფილი ნამოწაფარი ანასტასია იასონის ასული გარსიაშვილი-მჭედლიშვილისა. „როდესაც ალექსანდრე ცხვედაძე საგარეჯოში ჩამოვიდა მასწავლებლად, მამაჩემი იასონ გარსიაშვილი მუშაობდა მღვდლის თანაშემწედ. ცხვედაძე ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, ბოლოს ჩემი ნათლიაც გახდა. როდესაც 7 წლის შევიქმენი, ალექსანდრე მოელაპარაკა მამაჩემს, რათა იგი დათანხმებოდა ჩემს სკოლაში გაშვებას. მამაჩემი დაითანხმა და ჩემი საშუალებით 8 გოგონა მიიყვანა სკოლაში".

ალექსანდრე ცხვედაძემ მაღალ დონეზე დააყენა სწავლა-აღზრდის საქმე, რაზედაც 1877 წელს გაზეთი „დროება" წერდა: „საგარეჯოდან დიდ მადლობას და კმაყოფილებას იწერებიან იქაური სოფლის შკოლის მასწავლებელზე. გვეუბნებიან, რომ ეს მასწავლებელი ძალიან გულმოდგინე არის თავისი მოვალეობისა და კარგადაც ესმის ეს მოვალეობა. იმის მეცადინეობით საგარეჯოს შკოლა ახლა ისეთ მდგომარეობაშია სკოლის მხრივ, რომ ბევრი სხვა სკოლა სკოლისათვის სამაგალითოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ (გაზ. „დროება". 1877 წელი №152).

იგივე გაზეთი „დროება" 1880 წელს იუწყებოდა: საგარეჯოდან გვწერენ, რომ იქაური შკოლის საქმე ძალიან კარგად მიდისო. შკოლაში ორი განყოფილება არისო. უმცროსში 63 ყმაწვილი სწავლობსო და უფროსში – 37. სამწუხაროდ, შკოლაში ქალები სრულად არ დაიარებიან. ამასწინათ ერთი სწავლობდა და ისიც გამოიყვანეს მშობლებმა.

როგორც მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე გამოირჩეოდა შესანიშნავი პედაგოგიური ტაქტით და ბავშვებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. ალექსანდრე ცხვედაძე დიდ ყურადღებას უთმობდა კლასგარეშე მუშაობას, მოსწავლეთა ლაშქრობებს მხარის შესწავლის მიზნით. ამავე დროს ზრუნავდა სკოლისგარეშე დარჩენილი ახალგაზრდობის გათვითცნოებიერებაზე განათლებისადმი. ამ მიზნით ალექსანდრე ცხვედაძემ განიზრახა ე.წ. ***საკვირაო სკოლის გახსნა*** საგარეჯოში და დაუკავშირდა ქალთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, რათა სათანადო დახმარება გაეწია მასწავლებლისათვის სკოლის დაარსებაში.

1884 წელს ალექსანდრე ცხვედაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნა განცხადება, რომელშიც წერდა: „თანახმად წერა-კითხვის საზოგადიების წესდებისა, მე დავინახე საჭიროდ და სასარგებლოდ დაარსება სოფელ საგარეჯოში კვირაუქმითი სკოლის გახსნისა. ამიტომ 20 მაისს ამა წლისა, შევყარე 100-მდე საგარეჯოს ჯეელობა, რომელთაგანაც ვიქონიე ვრცელი ბაასი სწავლა-განათლებასა და მის მნიშვნელობაზე. დიდი თანაგრძნობა და მადლობა გამომიცხადა მთელმა ჯეელობამ. ამ სკოლას მიზნად ექნება: 1: გაავრცელოს წერა-კითხვა; 2) გაავრცელოს შრომისმოყვარეობა და პატივისცემა ყოველივე შრომისა. 3) გაავრცელოს ზნეობრივი და სულიერნი კეთილნი გრძნობანი, ე.ი. სიყვარული და სიბრალული ყოველთა ჩაგრულთა და დავრდომილთა. ამიტომ მივილტვი წინაშე ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა – გვიშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, მოგვცენ ნებართვა კვირა-უქმის სკოლის გახსნისა საგარეჯოს სასოფლო შკოლის შენობაში".

ალექსანდრე ცხვედაძემ ეს მიზანი განახოეციელა და პატარა ბავშვებთან ერთად წლების განმავლობაში მოზრდილებსაც ასწავლიდა წერა-კითხვას სრულიად უფასოდ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საგარეჯოს სკოლაში მცირე რაოდენობით აბარებდნენ აღსაზრდელად და ცოდნის მისაღებად გოგონებს, რაც მეტად აფიქრებდა ალექსანდრე ცხვედაძეს, ამიტომაც მან გადაწყვიტა გოგონებისათვის შეექმნა სახელოსნო სასწავლებელი, რისთვისაც მიმართა ქალთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას.

თხოვნა ასე იწყება: „ჩვენ ფრიად საჭიროდ სასარგებლოდ დავინახეთ ივრის ხეობაში საქალებო სახელოსნო შკოლის გახსნა, სადაც ისწავლიან საჩოხე შალების ქსოვას, ფარდაგებისას, საცალოებისას, თექას, თექის ქუდებისას და სხვებისას, რომელნიც საჭირონი არიან გლეხის ცხოვრებაში და აგრეთვე ისწავლიან წერა-კითხვას სამშობლო ენაზედ". ამავე თხოვნაში სპეციალურად შექმნილი მზრუნველთა კომისია კისრულობდა შენობის დაქირავებას და მოწყობას საჭირო ინვენტარით საკუთარი ხარჯით. აგრეთვე თავისივე ხარჯით დაიჭერდა ხელობის მცოდნე ქალ-მასწავლებელს. კომისია ითხოვდა ქალთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან, რათა დაენიშნა წერა-კითხვის მასწავლებელი ქალი, რომელსაც საზოგადოება დაუნიშნავდა ხელფასს.

თხოვნას ხელს აწერდნენ თვითონ ალექსანდრე ცხვედაძე, ბლაღოჩინი მღვდელი თევდორე გულისოვი (გულისაშვილი), დიმიტრი ციციშვილი, ნიკოლოზ ქურდიანი, ზურაბ მაკანტალშვილი და სხვები.

როგორც ჩანს ქალთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს თხოვნა და 1885 წელს უკვე გახსნილა ასეთი სკოლა. სკოლა გაიხსნა სამეურნეო ანგარიშზე სოლომონ ბილანიშვილის ქალების: ნინო, სოფიო და ელენეს შემწეობით. სკოლა გახსნილია ვინმე ქვრივ ავთანდილოვის სახლში, სომხის უბანში. სკოლას სჭერია 2 ოთახი, სადაც პირველად მიუბარებიათ 50-მდე გოგონა. სწავლა ფასიანი იყო. ასწავლიდნენ ზემოთჩამოთვლილ ხელობებს და წერა-კითხვას. ოთახების სიმცირისა და სივიწროვის გამო მალე სკოლა გადაუტანიათ პეპანოვის სახლში (ყოფილი მილიციის შენობაში). აღნიშნულ სკოლას 10-12 წელი უარსებია.

რაც შეეხება საგარეჯოს დაწყებითი სკოლის ფუნქციონირებას, აქაც ალექსანდრე ცხვედაძე სულითა და გულით ეკიდებოდა სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმეს. მართალია, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ცხვედაძე ახერხებდა ბავშვებისათვის გასაგებ ქართულ ენაზე ესაუბრა საინტერესო საკითხებზე, წაეკითხა გასართობი წიგნები. საერთოდ, ასეთ ორკლასიან სასწავლებლებს ჰქონდათ თითო კლასში 3 განყოფილება. საათების კვირეული უდრიდა 74 საათს. აქედან, პირველ კლასში საღვთო რჯულს ეთმობოდა 16 საათი, რუსულ ენას სუფთა წერით – 30 საათი, მშობლიურ ენას – 9. არითმეტიკას

*<u>დასასრული მე-7 გვერდზე</u>*

# ამაგდარი

## პატარძეულელთა არაერთი თაობის საყვარელმა პედაგოგმა, 90 წლის მარიამ ჯავახიშვილმა 60 წელი მოსწავლეთა აღზრდას შეალია

**(ნარკვევი)**

**ნარკვევი**, ***რომლის ავტორი ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარი, ჟურნალისტი, პოეტი,*** **სანდრო უსტიაშვილია**, ***ამ წერილს თავის საყვარელ, პატარძეულის საჯარო სკოლის პედაგოგებს უძღვნის, ჩვენ კი ვფიქრობთ, ეს ნარკვევი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოღვაწე პედაგოგებს და უკვე დამსახურებულ პენსიაზე მყოფებსაც ესადაგებათ. ამ ნარკვევით გილოცავთ მარტის ლამაზ დღესასწაულებს და მადლობას გიხდით თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლების სკოლის კედლებში, მომავალი თაობების აღზრდა-განათლებისათვის უშურველად, დაუყვედრებლად გატარებისათვის.***

### მცირე წინასიტყვაობა



ეს მოკრძალებული წერილი ეძღვნება აბსოლუტურად ყველა მასწავლებელს, რომლებიც ამჟამად მუშაობენ პატარძეულის საჯარო სკოლაში, მათაც, რომლებიც უკვე აღარ მოღვაწეობენ ჩვენს სკოლაში, მათაც, რომლებიც მარადიული ქვეყნის მკვიდრნი გახდნენ და წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს მეხსიერებაზე.

ეს წერილი არის დიდი მადლიერების გრძნობის გამოხატვა ისეთი ფუნდამენტური, ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიის წარმომადგენელთა მიმართ, როგორიც მასწავლებლები არიან. მათ უდიდეს ამაგს ვერასდროს გადავიხდით, მაგრამ უნდა ვცადოთ, შეძლებისდაგვარად დავაფასოთ....

* * *

### *შეხვედრა წლების შემდეგ*

**როგორც** წესი, პედაგოგი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა სოფელში. არ არსებობს ოჯახი, შეხება რომ არ ჰქონდეს მასთან.

მასწავლებლები სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ. მათი საქმიანობა გაჯერებულია თითოეულ მოსწავლეზე ზრუნვით, ორგანიზაციული მუშაობით, ზემოდან წამოსული დავალებების ზედმიწევნით შესრულებით, ათასი ფიქრითა და ვნებათაღელვით.

- ნეტავ, ცოტა ხნით დამასვენაო, - ვინ იცის, რამდენ მასწავლებელს უთქვამს გულში.

თუმცა, ადრე თუ გვიან, ყველა პედაგოგის ცხოვრებაში დგება სკოლასთან გამოშვიდობების დრო და სასკოლო ფორიაქისგან დასვენების ხანგრძლივი პერიოდი. როგორც აღმოჩნდება ხოლმე, ისინი ამ დროს კი არ ისვენებენ, არამედ განიცდიან საოცარ ნოსტალგიას იმ სიხლსავსე ცხოვრების მიმართ....

ტყუილად როდი უთქვამთ: თუ ადამიანმა ერთი ჩაისუნთქა სკოლის და სცენის მტვერი, მერე სამუდამოდ "პროფესიულად მოწამლული" რჩებაო...

ჩემი წერილის გმირს 2023 წლის 3 დეკემბერს 90 წლის იუბილე შეუსრულდა. **მარიამ ჯავახიშვილს,** როგორც უზომოდ თავმდაბალ ადამიანს, არავინ შეუწუხებია ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნისთვის.

პატარძეულის საშუალო სკოლიდან 2012 წელს გააცილეს. სწორედ იმ პერიოდში შესრულდა 60 წელი მისი ხანგრძლივი, უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებიდან. ვალი მოიხადო ქვეყნისა და არაერთი თაობის წინაშე - ეს უდიდესი ტვირთიცაა და პასუხისმგებლობაც.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღეს ოჯახში ვეწვიე მარიამ ჯავახიშვილს. არ მელოდა. ძალიან გამიჭირდება მისი ემოციების მიახლოებით აღწერაც კი. გულში ჩამიკრა და სიტყვებს ვერ პოულობდა სიხარულის გადმოსაცემად. 9 ათეული წლის მიუხედავად, თვალები ისევ ძველი ცეცხლითა და შემართებით უციმციმებს. ზოგი ახალი ვთქვით, ზოგიც ძველი გავიხსენეთ....

* * * *

### ბავშვობის შთაბეჭდილებები

**მარო** მასწავლებელი - ბავშვები ასე ვუწოდებდით ხმელი აღნაგობის, საშუალო სიმაღლის, მკაცრი გამომეტყველების, ენერგიულ და სიცოცხლით სავსე ქალბატონს, რომელიც პატარძეულის საშუალო სკოლაში ბოტანიკას, ზოოლოგიას, ზოგად ბიოლოგიას და შრომას ასწავლიდა. ცოტა გვეშინოდა და რიდიც გვქონდა მისი. მორიგეობისას ხშირად ჯოხი ეკავა და კარგი ვაჟკაცი იყავი, გაკვეთილზე დაგეგვიანა. ჯოხი კი ისე, დასანახავად ჰქონდა, თორემ მის მიერ ნაცემი ბავშვი არავის უნახავს. მის გვერდით გავლისას, მასთან საუბრისას სულ ვცდილობდით, რამე სიცელქე არ ჩაგვედინა, რამე ისე არ წამოგვცდენოდა, რომ მისი საყვედური დაგვემსახურებინა. იგი თავისი ჰაბიტუსით, მომართვის თუ საუბრის მანერით თავიდანვე განგაწყობდა პატივისცემით: მასწავლებლის, სკოლის, გაკვეთილის, იმ ინვენტარის მიმართაც კი, ბიოლოგიის კაბინეტში უხვად რომ იყო წარმოდგენილი თვალსაჩინოებების სახით.

- გაკვეთილი არ ვიციო, - ამის თქმისაც კი მოგერიდებოდა, როდესაც მარო მასწავლებელი დაფასთან გამოგიძახებდა. ერთს ისე შემოგხედავდა, ასგზის ინანებდი, რომ გაკვეთილის მომზადება დაგეზარა ან ვერ მოასწარი.

წლები რომ გავიდა, გავიზარდეთ და უფრო მეტი გავიგეთ მის ხასიათზე, ჩვენი წარმოდგენა 180 გრადუსით შეიცვალა: ძნელია, იპოვნო უფრო გულთბილი, მოსიყვარულე და საოცარი თანადგომის უნარის მქონე ადამიანი...

* * * *

### ნაადრევი დაობლება და მკაცრი, სამართლიანი დედის ფაქტორი

- ჩემთვის ცხოვრებაში ყველაზე მიუღებელი, ყველაზე მძიმედ აღსაქმელი მოვლენა კაცის კვლაა. ასეთი ფაქტები თითქოს თავიდან მიხსნის ბავშვობაში მიღებულ უდიდეს ტკივილს, - იხსენებს მარო მასწავლებელი და მზერა საოცარი სევდით ებურება.

გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში დაბადებულს ძალზე მშრომელი და პატიოსანი მშობლები ჰყავდა. მამას იქაური კოლმეურნეობის ერთ-ერთ ხეხილის ბაღში უმუშავია დარაჯად. როდესაც მარიამი 12 წლის იყო, მამა მოუკლეს - უცნაური მიზეზის გამო: რამდენიმე ადამიანს კოლმეურნეობის ქონება მოუპარავთ და ბაღთან მოუწიათ გავლა. დარაჯს ისინი დაუნახავს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს უწესიერესი კაცი იმიტომ მოკლეს ყაჩაღებმა, რომ იფიქრეს, არ დაგვაბეზღოსო.

წარმოიდგინეთ 12 წლის გოგონას მდგომარეობა, როდესაც სადისტურად მოკლული მამა იხილა. ცხონებულს საკუთარი, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლიც კი ჩაატანეს საფლავში.

როგორც ჩანს, ამ ფაქტმა სრულებით ბავშვს ძალზე გაუმძაფრა სიცოცხლისადმი სიყვარული. შესაძლოა, ესეც გახდა იმის მიზეზი, რომ მოგვიანებით მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს დაამთავრებს ბიოლოგიის განხრით. მეცნიერება სიცოცხლის შესახებ -- ასე ითარგმნება სიტყვა ბიოლოგია.

მერე იყო მძიმე, პრობლემებით სავსე ბავშვობა.

- ახლანდელებმა უკვე აღარ იციან, რა არის პურმჭადი. მას დედა გვიცხობდა ხოლმე. ეს იყო სიმინდისა და ხორბლის ფქვილით გამომცხვარი პროდუქტი, რომელიც ჩვენს ძირითად საკვებს წარმოადგენდა. ორი უფროსი და მყავდა. დედა პატარძეულელი, უსტიაშვილის ქალი იყო. ძალიან მკაცრი, სამართლიანი, წესრიგის, გაჭირვებულთა დახმარების მოყვარული ადამიანი იყო. სამივე დას დაგვიძახებდა და გვეტყოდა: მე რომ პურმჭადი გამოგიცხვეთ, მეზობელ ბავშვებსაც უწილადეთ, იმათ უფრო შიათო. ხმის ამოუღებლად გავბრუნდებოდით და მეზობელ ბავშვებს ჩვენს ლუკმას ვუწილადებდით. დედამ ურთულეს პერიოდში, 40-იანი წლების ბოლოს გაუძლო მეუღლის უეცარ და ტრაგიკულ დაკარგვას, წონასწორობა არ დაუკარგავს, არ გამტყდარა, ამოღებული მახვილივით იდგა, შვილებს ერთიანობა, შრომა, გაჭირვების გაძლება და სხვათა პრობლემების გულთან ახლოს მიტანა გვასწავლა. სკოლა უკვე დამთავრებული მქონდა და სართიჭალის სკოლაში პიონერხელმძღვანელად ვმუშაობდი. თბილისში რაიმე ახალი ფილმი, ან სპექტაკლი რომ გამოვიდოდა, მე ვერ ვუბედავდი – უფროსი დების პირით ვთხოვდი, რომ გავეშვი სანახავად. მე უფროსებისადმი რიდითა და პატივისცემით გავიზარდე. სულ მინდოდა, ეს მომავალ თაობებსაც ესწავლათ. სხვანაირად ადამიანი ვერ ჩამოყალიბდება ნამდვილ პიროვნებად...

გაფაციცებით ვუსმენდი მარო მასწავლებელს და წლების მერე, ახლაღა მივხვდი, რატომ ჰქონდა შეუვალი, მკაცრი ადამიანის იერი. დღეს ***კიდევ ერთხელ მივხვდი, რამხელა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ბავშვს უფროსის რიდსა და დიდ პატივისცემას ასწავლიან....***

კიდევ ერთი დაუვიწყარი გაკვეთილი ჩამიტარა მარო მასწავლებელმა....

* * * *

### ხანგრძლივ პედაგოგიურ გზაზე

**დღეს** კიდევ ერთმა გარემოებამ გამაოცა: მარო მასწავლებლის ბრწყინვალე მეხსიერებამ.

წარსულის ამბებს მაღალი სიზუსტით იხსენებდა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

- პედაგოგის პროფესია ჩემი სკოლის მასწავლებლებმა შემაყვარეს. ამ პროფესიისადმი პატივისცემა და პასუხისმგებლობის გრძნობა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა ჩამომიყალიბეს. შემიძლია ყველა მათგანი გავიხსენო, მაგრამ მაინც პროფესორ ალექსანდრე მაყაშვილს გამოვყოფდი.

8 წელი ჩემი მშობლიური სოფლის, სართიჭალის სკოლაში პიონერ-ხელმძღვანელად ვიმუშავე. შემდეგ დავოჯახდი გურამ გიუნაშვილზე და 1962 წლიდან პატარძეულის საშუალო სკოლაში ვმუშაობდი.

როგორი კოლეგა და როგორი პედაგოგი იყო მარიამ ჯავახიშვილი?

**გულნარა პატატიშვილი** - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

"- 1981-1994 წლებში ვმუშაობდი პატარძეულის საშუალო სკოლაში. ძალიან კარგი, ერთ მუშტად შეკრული და მეგობრული პედაგოგიური კოლექტივი იყო. იქ იყვნენ ერთმანეთზე უკეთესი როგორც ჩემი თაობის, ისე უფროსი თაობის პედაგოგები, რომლებიც მართლა გულითადად გვიზიარებდნენ გამოცდილებას. ერთ-ერთი სწორედ მარიამ ჯავახიშვილი გახლდათ. წლების განმავლობაში მასთან მეგობრობამაც დამაკავშირა. არასდროს დამავიწყდება ის ყურადღება, გულისხმიერება, მხარდაჭერის და თანადგომის უნარი, რასაც მარო მასწავლებელი ყოველთვის გამოხატავდა როგორც ჩემი, ისე სხვათა მიმართ. ეს არის პიროვნება, რომელსაც შეგიძლია, თვალდახუჭული ენდო. მინდა, მას დიდი სიყვარულით მივულოცო საიუბილეო თარიღი, დიდხანს სიცოცხლე და თავისი ულამაზესი ოჯახის კარგად ყოფნა ვუსურვო".

**დავით თათრიშვილი** - პატარძეულის მკვიდრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს საკრებულოში 2017-2021 წლებში:

"- შემიძლია, ბევრი ვისაუბრო მარო მასწავლებელზე, უამრავი რამ გავიხსენო, მაგრამ ჩემს მთავარ სათქმელს ერთი გამორჩეული ისტორიის გახსენებით ვიტყვი: 1976 წელს მოსკოვში გაიმართა ნორჩ ნატურალისტთა საერთაშორისო გამოფენა. ეს იყო იმ დროისთვის ძალიან პრესტიჟული ღონისძიება და იქ მოხვედრა ოცნების სფეროს წარმოადგენდა. საქართველოს მასშტაბით 21 მოსწავლე შეირჩა - 19 გოგონა და 2 ვაჟი. საგარეჯოს რაიონიდან ერთი მოსწავლე უნდა გაეგზავნათ. მარო მასწავლებლის რეკომენდაციით, შერჩეული მოსწავლეების სიაში მეც შემიყვანეს. ჩემს აღფრთოვანებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. 2 დაუვიწყარი კვირა გავატარეთ მოსკოვში და უამრავი სხვადასხვა ეროვნების მეგობარი შევიძინე. მე ასე მახსოვს: თუ მოსწავლე ზოგადად ჩამორჩენილი იყო, მარო მასწავლებელი დასჯის გზას კი არ ირჩევდა, ყველანაირად ცდილობდა, თავისი საგნებიდან რაღაც საკითხით მაინც დაეინტერესებინა. ხოლო, თუ მოსწავლე მოტივირებული და წარჩინებული იყო, საკუთარი მშობელივით, ძალიან ახლობელი ადამიანივით დაუდგებოდა გვერდით. ჩემი თაობის წარმომადგენლებმა თუ ვინმესგან ვისწავლეთ ადამიანის ერთგული თანადგომა, კარგი საქმის მხარდაჭერა, ერთ-ერთი მარო მასწავლებელიც იყო. დღემდე უზომოდ მიყვარს იგი. ვულოცავ იუბილეს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ ჩვენს ღვაწლმოსილ პედაგოგს".

ამ ულამაზესი მოგონებების შემდეგ, მეც მინდა ორიოდე სიტყვით გავიხსენო ერთი ისტორია, როგორც მისმა მოსწავლემ:

მაღალ კლასებში ჰერბარიუმების მომზადება დაგვავალა. ცოტა გამეწელა მისი დასრულება და ამის მიზეზი მკითხა. ვუთხარი, რომ ნაწილობრივ გაკეთებულია და მინდა სრულვყო იგი. კარგი, სანამ არ დაამთავრებ, აღარ მოგკითხავო, - მითხრა და გამომცდელად შემომხედა. ერთი თვის შემდეგ ჩავაბარე. უკან გადმომცა და მითხრა: ამის გაკეთება ჩემთვის კი არა, თქვენი ცოდნის გამო გთხოვეთ. ეს ჰერბარიუმი კარგად შეინახე და დაიმახსოვრე, რომ ***ამ ყვავილებივით დაჭკნება მთელი ბუნება, თუ არ გეყვარება და არ მოუფრთხილდები მას.***

წამოვედი და რამდენიმე დღის განმავლობაში ვფიქრობდი ამ სიტყვებზე. განვლო წლებმა და აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთი სფერო, სადაც დიდი ენთუზიაზმით და მაღალი მოტივაციით ვმუშაობ დღემდე, ეს ეკოლოგიაა. არა მხოლოდ მშობლებისა და ახლობლების, არამედ ***რომელიმე პედაგოგის ერთმა სიტყვამაც კი შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ადამიანის შემდგომ ცხოვრებაზე.***

ამიტომ ვუწოდებ პედაგოგიკას ფუნდამენტურ და ყველაზე მნიშვნელოვან პროფესიას....

* * * *

### ადამიანის დაფასების ღრმა მნიშვნელობა

**არსებობენ** ადამიანები, რომლებიც საქმესაც აკეთებენ და ითხოვენ კიდეც, რომ ისინი დააფასონ. ამას სულაც არ ვამბობ კრიტიკის თვალსაზრისით, რადგან ადამიანის გაკეთებულის, შექმნილის, ნაწვალევის, ნაჯაფარის შემჩნევა, აღიარება, დაფასება უმნიშვნელოვანესი, აუცილებელი მოვლენაა.

თუმცა, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც შეიძლება წლების განმავლობაში ემსახურნენ თავის საქმეს, ყოველგვარი რეკლამირების გარეშე იმოღვაწეონ და კრინტიც კი არ დაძრან არაფერზე....

მოკლედ, როგორც იტყვიან, კაცია და გუნებაო.

მარიამ ჯავახიშვილი ამ - მეორე კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება.

ბუნებრივია, მისი ღვაწლი არც სახელმწიფოს დარჩენია შეუმჩნეველი და მით უფრო - არც სკოლას. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს ***შრომის ვეტერანის წოდება, საიუბილეო მედალი და ღირსების ორდენი.***

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# ამაგდარი

## პატარძეულელთა არაერთი თაობის საყვარელმა პედაგოგმა, 90 წლის მარიამ ჯავახიშვილმა 60 წელი მოსწავლეთა აღზრდას შეალია

**დასასრული**

დღევანდელი შეხვედრისას მადლიერებით და ემოციით გაიხსენა:

- 2012 წელს, სანამ სკოლიდან გამაცილებდნენ, სოფლის მაშინდელმა თავკაცმა, თემურ ყუშიტაშვილმა დამირეკა და მითხრა: ხვალ რაიონის გამგეობაში უნდა გადავიდეთ და მზად იყავიო. საგონებელში ჩავვარდი: რა საქმე ჰქონდა ჩემთან გამგეობას? თემურმა სკოლაში გამომიარა მანქანით და წავედით საგარეჯოში. გაჯიუტდა, გზაში არაფერი მითხრა, რატომ მივდიოდით. გამგეობაში ერთ-ერთ ოთახში შემიყვანა, სადაც გამგეობის თანამშრომელი, თუ არ მეშლება, ძაგული მათიაშვილი ძალიან თბილად დამხვდა და მითხრა: ქალბატონო მარიამ, თქვენ მოგენიჭათ ღირსების ორდენი და მინდა, გადმოგცეთო. მე ვერ გადმოგცემ ჩემს მაშინდელ ემოციებს. გამოვართვი ორდენი და ვიფიქრე - რადგან ასე დააფასეს ჩემი შრომა, ახლა გინდა მოვკვდე, აღარაფერს დავეძებ მეთქი. ახლა ძირითადად სახლში ვარ. სადღა წავიდე? თუ შემთხვევით ჩემი რომელიმე კოლეგა ან მოსწავლე შემხვდება, გულთბილად მოვიკითხავთ ერთმანეთს, ეს არის ჩემთვის დიდი დაფასებაც და დიდი ბედნიერებაც...

* * * *

**დასასრულის მაგივრად**

90 წლის მარიამ ჯავახიშვილი ბედნიერი მეუღლე, დედა, ბებია და დიდი ბებიაა. სამი არაჩვეულებრივი შვილი გაზარდა: ეკატერინე, ნიკოლოზი და ზაზა. მათგან 8 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი ჰყავს. თითოეული მათგანით ამაყობს. სიხარულით ცას ეწევა, როდესაც ესტუმრებიან ხოლმე.

მეუღლეობის ეტალონია გურამ გიუნაშვილი. მანაც დიდი სითბოთი მიმიღო. ჩვენი საუბრისას აღარ იცოდა, როგორ მოექცია ყურადღება. მის ერთ გამოხედვაში, ერთ მოძრაობაშიც კი იკითხებოდა, თუ მრავალწლიანი თანაცხოვრების შემდეგაც კი როგორი სითბოთი, სიყვარულით და სიამაყით არის განმსჭვალული

მეუღლის მიმართ. ამ სამაგალითო ცოლ-ქმრობის შემხედვარე უთქმელად მივხვდი: მარიამ ჯავახიშვილს მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისას რამდენად ეხმარებოდა გულისხმიერი ადამიანის თანადგომა....

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მარო მასწავლებელს კიდევ ერთხელ მივულოცო საიუბილეო თარიღი. ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, შესანიშნავი შთამომავლობის კარგად ყოფნა, წინსვლა და წარმატებები..

---

**ლია ბურჯანაძე:**

## „ნიჭის გამოვლენას და განვითარებას ხელის შეწყობა სჭირდება“...



***სკოლის დამთავრების შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა.... მაგრამ... ვერ მოისვენა, თბილისის სამუსიკო ხელოვნების პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა ფორტეპიანოს განხრით – „ვერ უღალატა“ გენებში გამოყოლილ მუსიკის სიყვარულს... ჯერ საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში დაიწყო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობა, შემდეგ, 1993 წლიდან – საგარეჯოს სამუსიკო სკოლაში პედაგოგად. იმ სკოლაში, რომლის დაარსებიდან სულ სამიოდე წელიწადში მისი მშობლები ნელი ყანჩაშვილი და ჯემალ ბურჯანაძე 1962 წლიდან ჯერ პედაგოგებად მუშაობდნენ, შემდეგ კი ჯემალ ბურჯანაძე 20 წლის განმავლობაში ამ სკოლის დირექტორი იყო...***

***ლია ბურჯანაძე, ჩვენი გაზეთის მკითხველთა დღევანდელი სტუმარი 2004 წლიდან ხელმძღვანელობს საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლას.***

***– ლია, თუ შეიძლება გვიამბეთ ცოტა რამ სამუსიკო სკოლის დაარსებასა და დღევანდელობაზე...***

– საგარეჯოს სამუსიკო სკოლა 1959 წელს დაარსდა (პირველი დირექტორი ვახტანგ სერგია). სკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა და წლების განმავლობაში ერთხანს საგარეჯოს ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეორე სართულზე ჰქონდა გამოყოფილი ოთახები (ახლანდელი დ. აღმაშენებლის ქუჩაზე), შემდეგ კი – ყოფილი კინოს შენობაში (სადაც ამჟამად სამუსიკო სკოლის ახალი შენობაა განთავსებული), ასევე, წლების განმავლობაში ჩვენი სკოლის პედაგოგები გაკვეთილებს მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა ოთახებში ვატარებდით და როგორც იქნა, 2004 წლიდან ახალი შენობის პირველ სართულზე განთავსდა სამუსიკო სკოლა. სწორედ ასეთ პირობებში ატარებდნენ გაკვეთილებს ჩვენი პედაგოგები, რომელთაგან უმეტესობა ვერც მოესწრო ახალ შენობას. ესენი არიან: ვახტანგ სერგია, ჯემალ ბურჯანაძე, ნელი ყანჩაშვილი, მირცა ჯაფარიძე, მაყვალა ჯინჭარაძე, ანზორ ბურჯანაძე, მარინა მამისაშვილი, ციცინო დრეიძე, რეზო ასტახიშვილი, ვახტანგ ქიტიაშვილი.

დღეს სამუსიკო სკოლაში გვყავს 202 მოსწავლე და მათთან 15 პედაგოგი მუშაობს.

***– პედაგოგთაგან თუ არის საგარეჯოს სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებული?***

– დიახ, პირადად მე, დინარა ბურჯანაძეს, მანანა მამუჩიშვილს, მარინა ურდულაშვილს, ნინო ოსიყმიშვილს, ნათია მარტიროსოვს, ელზა ხიპაშვილს...

***– რა დისციპლინები ისწავლება სკოლაში?***

– ჩვენთან ისწავლება ფორტეპიანო, სოლფეჯიო, მუსიკის ლიტერატურა და გუნდი. სკოლაში გვაქვს გიტარის წრე – პედაგოგი ლალი სომხიშვილი, ხალხურ საკრავთა წრე – პედაგოგი თემურ აროშვილი და ასევე სამუსიკო სკოლასთან არსებული სტუდია „კამერტონი“ (ხელმძღვანელი თეა ხატიაშვილი).

***– სტუდია „კამერტონის“ ნიჭიერი ბავშვების წარმატებები მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის არ არის ცნობილი. მათი შესაძლებლობები გაიცნო კახეთმა, თბილისმა, ბათუმმა და ა.შ. ამ წარმატებებისათვის და მუშაობაში ხელშეწყობისათვის სტუდიის ხელმძღვანელი თეა ხატიაშვილი ხშირად მადლიერებას გამოხატავს თქვენი, როგორც დირექტორის და მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირების მიმართ.***

– სხვანაირად არც შეიძლება. ახლა ის თაობა მოდის საგარეჯოში, რომელსაც აინტერესებს მუსიკალური განათლების მიღება და საოცარი მუსიკალური ნიჭით და დახვეწილი საშემსრულებლო უნარით არიან დაჯილდოებული. მათ თუ არ შევუწყეთ ხელი, ეს ნიჭი შეიძლება ისე გაიფანტოს, ჩვენს თაობას სანანებელი გაუხდეს. მე მიხარია და ვამაყობ ჩვენი მოსწავლეების ამ ნიჭითა და უნარით. ყოველ გაზაფხულზე ჩვენი მოსწავლეები საანგარიშო კონცერტით წარვსდგებით ხოლმე მშობლების, მოწვეული სტუმრების წინაშე. ეს დიდი სტიმულია მათთვის.

***– სკოლას ფილიალები თუ აქვს სოფლებში?***

– კი. სოფელ პატარძეულში, სადაც პედაგოგი, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული, წლების განმავლობაში ჩვენი სკოლის პედაგოგი ელზა ხიპაშვილი მუშაობს მოსწავლეებთან.



## პირველი მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე

**დასასრული**



– 16, ხაზვას და ხატვას – 3.

მეორე კლასში ისწავლებოდა იგივე საგნები და გარდა ამისა – რუსეთის ისტორია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია.

იმისათვის, რომ სკოლის დამთავრების მოწმობა მიეღო, უნდა ესწავლა 6-7 წელი, თითო კლასში 3 წელი მაინც. მიუხედავად იმისა, რომ დიდ სიძნელეებთან ჰქონდა საქმე ალექსანდრე ცხვედაძეს, იგი მაინც ახერხებდა მართალი სიტყვა მიეტანა ბავშვებთან, გაეღვიძებინა მათში სწავლის სურვილი, ჩაენერგა მათთვის პროგრესული დემოკრატიული იდეები, თავისუფლების სიყვარული, მშრომელი ხალხის ერთგულება, საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლის წყურვილი. მან მრავალ გარეჯელ ახალგაზრდას აუხილა თვალი და უჩვენა ცხოვრების ჭეშმარიტი გზა.

ალექსანდრე ცხვედაძე ბევრს ფიქრობდა, თუ როგორ შეეტანა განათლება მასებში. ადგილობრივ შეძლებულ, პროგრესულად მოაზროვნე პირებთან ერთად იგი ფიქრობდა სკოლისგარეშე მუშაობის მოწყობას. სკოლა როცა ფეხზე დააყენა, მან სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად შექმნა დრამატული დასი, სამკითხველო, სამომხმარებლო კოოპერაცია „დეპო“, სასოფლო ბანკი, სამკურნალო დაწესებულება და სხვა.

საგარეჯოს ორწლიან სკოლაში სწავლობდა 93 მოსწავლე – სულ ბიჭები. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ საგარეჯოს ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა 1875 წლის შემოდგომით სპეციალურად აშენებულ შენობაში, (ახლანდელი ერეკლე მეორის ქ. №74 –საცხოვრებელი კორპუსი.) მოხდა შემდეგ კი არსებული შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას და 1888 წელს, ალექსანდრე ცხვედაძის სიცოცხლეშივე დაიწყო ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა (ახლანდელი მეორე საჯარო სკოლის ძველი შენობა), რომელიც შემდეგ შვიდწლიან სკოლად გადაკეთდა. სკოლის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მშრომელი გლეხობა და უნდა ითქვას, რომ ძირითადად მათი სახსრებით აშენდა ახალი სკოლა.

ალექსანდრე ცხვედაძემ სისრულეში ვერ მოიყვანა კიდევ მრავალი თავისი ჩანაფიქრი. იგი 1888 წელს ბნედით გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. იგი დაკრძალული იქნა მაშინდელი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში, რომლის საფლავიც აღმოჩენილ იქნა 1988 წელს საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის შენობის საძირკველის გათხრისას. მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა იმავე ბაღის ეზოს სამხრეთ ნაწილში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საგარეჯოს ორკლასიანი სასწავლებლის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი შეუტანიათ და არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ადგილობრივი ინტელიგენციისა და შეძლებული კლასის წარმომადგენლები – ***ლევან და მარო ჩერქეზიშვილები, ნიკო ავალიშვილი, სპირიდონ ჯაბადარი, ანდრია კაპანაძე, დიმიტრი ციციშვილი, ნიკო ქურდოვანიძე, მღვდელი თევდორე გულისაშვილი, სოფლის ყრილობაზე არჩეული მზრუნველები – იაკობ ასლამაზიშვილი, ნიკო ქურდიანი, ავეტიკ არუთინოვი.*** სწორედ მათ შეუძენიათ სკოლის მერხები. პირველი ორკლასიანი გამოშვება 1919 წლით თარიღდება. ამ წლებში სკოლის დირექტორად უმუშავია გიორგი ლეჟავას, რომელიც იერემია გულისაშვილს შეუცვლია, რომლის მუშაობის პერიოდში აღნიშნული სკოლა 9 წლიანად გადაკეთებულა. სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ლენტო და სოლომონ გულისაშვილები, ელენე გოდერძიშვილი, იაშა ანუაშვილი, ანდრო მაისურაძე, დარია მაისურაძე და სხვები. 1935 წლიდან სკოლა საშუალო სასწავლებლად გადაკეთებულა. 1940-1941 წლებში სკოლა ისევ 8 წლიანად გადაკეთებულა, მოსწავლეთა ნაწილი კი გადასულა საგარეჯოს დღევანდელ I საშუალო სკოლაში.

1973 წლიდან კი სკოლას მეორე საშუალო სკოლის სტატუსი მიენიჭა.

***სხვადასხვა მასალების გამოყენებით საგაზეთო წერილი მომზადებულია საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ.***
*ვერიკო კერატიშვილი,ს* ***მიერ***

# 2024 წლის მკლავჭიდის საქართველოს ჩემპიონატზე საგარეჯოს გუნდს 28 გამარჯვებული ჰყავს

*ასიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების (დირექტორი მამუკა კურდღელაშვილი) მკლავჭიდელთა სექციის (მწვრთნელი მამუკა ბილანიშვილი) მკლავჭიდელებმა ამ დღეებში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე არნახული წარმატებები უჩვენეს არა მარტო მკლავჭიდით დაინტერესებულ პირებს, არამედ სრულიად საქართველოს.*

*სექცია მართალია, სულ რამდენიმე წელს ითვლის დღიდან დაარსებისა, მაგრამ მათ მსოფლიოს ქვეყნებსაც კი დაუმტკიცეს, რა შესაძლებლობები აქვთ ქართველ სპორტსმენებს. და აი, ახალი გამარჯვებებიც, გილოცავთ და მომავალშიც გესახელებინოთ საგარეჯო და საქართველო!*



**15 წლამდე ჭაბუკები**



1. **ელერდაშვილი ლუკა** – პირველი ადგილი მარცხენა
2. **კევლიშვილი ალეკო** – პირველი ადგილი მარცხენა
3. **კევლიშვილი ალეკო** – პირველი ადგილი მარჯვენა
4. **გელოვანი საბა** – მეორე ადგილი მარცხენა
5. **ღრეული დავით** – მეორე ადგილი მარცხენა
6. **ღრეული დავით** – მეორე ადგილი მარჯვენა
7. **გუგა ივანელაშვილი** – მესამე ადგილი მარჯვენა ხელში

### 18 წლამდე ჭაბუკები

8. **ასრათაშვილი ავთანდილი** – ადგილი მარცხენა
9. **მათიაშვილი ნიკოლოზი** – მეორე ადგილი მარცხენა
10. **ასრათაშვილი ავთანდილი** – პირველი ადგილი მარჯვენა
11. **მათიაშვილი ნიკოლოზი** – მესამე ადგილი მარჯვენა
12. **საგინაშვილი ოთარი** – მეორე ადგილი მარჯვენა
13. **ჭიკაძე დათო** – მესამე ადგილი მარჯვენა
14. **ღვინაშვილი გიორგი** – პირველი ადგილი მარცხენა
15. **დიღმელაშვილი გიორგი** – მეორე ადგილი მარცხენა
16. **დიღმელაშვილი გიორგი** – პირველი ადგილი მარჯვენა
17. **ღვინაშვილი გიორგი** – მეორე ადგილი მარჯვენა
18. **დიღმელაშვილი ბაჩო** – პირველი ადგილი მარცხენა
19. **დიღმელაშვილი ბაჩო** – პირველი ადგილი მარჯვენა



20. **ჭიკაძე დავით** – მესამე ადგილი მარჯვენა



21. **ქვრივიშვილი გიგი** – პირველი ადგილი მარჯვენა
22. **ქვრივიშვილი გიგი** – მეორე ადგილი მარცხენა
23. **კერატიშვილი ვალერი** – მესამე ადგილი მარცხენა
24. **მეკოკიშვილი თამაზი** – პირველი ადგილი მარჯვენა

### 23 წლამდე ახალგაზრდები

25. **საგინაშვილი ოთარი** – პირველი ადგილი მარცხენა
26. **საგინაშვილი ოთარი** – პირველი ადგილი მარჯვენა

### 15 წლამდე გოგონები

27. **მახარაშვილი მარიამ** – პირველი ადგილი მარჯვენა
28. **მახარაშვილი მარიამ** – პირველი ადგილი მარცხენა



***წლის საუკეთესო გუნდის ტიტული გარეჯელებს ხვდა წილად, საუკეთესო მწვრთნელის ტიტული - კი* მამუკა ბილანიშვილმა *მოიპოვა.***

გილოცავთ ჩვენო საამაყო ბიჭებო!

## გამოსათხოვარი

## ლევან თედიაშვილი



**ლეგენდარულ** ქართველ მოჭიდავეს 15 მარტს დაბადებიდან 76 წელი შეუსრულდებოდა. სულ ახლახან,ორიოდე კვირის წინ საგარეჯოს, მისი საყვარელი „თაქლას“. მიწამ მიიბარა ერთ დროს ბობოქარი ცხოვრებით მცხოვრები,საქართველოს სახელის ჯერ ყოფილი საბჭოეთის,შემდეგ კი მსოფლიოს ქვეყნებში წარმატებული სპორტული წარმატებებით გამტანი.

17 წელი ლომივით იბრძოდა დაუმარცხებელი ქართული გენის დასამტკიცებლად საჭიდაო ხალიჩაზე. ამასთან იყოკინო-ფესტივალების ლაურეატი, საქართველოს №1 მეცენატი.

დაბადების დღეს გილოცავთ, იმიერში, ლევან!

---

### ალექსი არაბული

**ჩვენი** მეგობრობა 40 წელზე მეტს ითვლიდა, ჩემო მეგობარო! მერე რა,რომ უკანასკნელ ხანს ყოველ წელს ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს, სამაგიეროდ, კეთილ და თბილ მოკითხვას ვუთვლიდით ურთიერთს. დღეს ტკივილი შენი აღარ ყოფნისა, გულს მიკლავს!



შენ ხომ ის კაცი იყავი, რომელიც ზვიადის შენი სიკვდილის ბოლომდეც კი ერთგულად ედექი გვერდში, შენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერე, როგორც ჩვენი რაიონიდან – საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა... ყოველთვის იღწვოდი საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. ვინ თუ არა შენ,პირველმა იცოდი ჩვენი კარაჩოპის ტკივილი და გასაჭირი, შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდი ყველას,როგორც შეგეძლო!

მეწყინა შენი გარდაცვალება! აქაც კარგი კაცი იყავი და იქაც ნათელი გექნება. მშვიდობით, მეგობარო!

*აღაბალი ხეირხაბაროვი,*

***სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი***

---

**გაზეთ** „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნათელა და ნუგზარ ჭიაბერაშვილებს ძმისშვილიშვილისა და ძმისშვილის, ბიჭიკო სულიკაშვილს შვილიშვილის

**როლანდი ჭიაბერაშვილის**

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com